

საინფორმაციო ფურცელი ენის განვითარების დარღვევის (ეგდ) შესახებ

სამი ფაქტი, რომელიც აუცილებლად უნდა იცოდეთ ეგდ-ს შესახებ:

1. როდესაც ბავშვს ან ზრდასრულს უჭირს მეტყველება და/ან ენის გაგება, საქმე გვაქვს ენის განვითარების დარღვევასთან.
2. ეგდ ფარული უნარშეზღუდვაა, რომელიც დაახლოებით 14 ბავშვიდან 1 ბავშვს აქვს და გავლენას ახდენს წიგნიერებაზე, დასწავლაზე, მეგობრობასა და ემოციურ კეთილდღეობაზე.
3. პროფესიონალების, მათ შორის მეტყველებისა და ენის თერაპევტებისა და მასწავლებლების მხარდაჭერას რეალური ცვლილების მოხდენა შეუძლია.

ეგდ: სადიაგნოსტიკო ტერმინოლოგია, სიხშირე, მიზეზები

- **ტერმინოლოგიაზე შეთანხმება:** სადიაგნოსტიკო ტერმინის - ენის განვითარების დარღვევა (ეგდ)- გამოყენების რეკომენდაცია გამოიცა ანგარიშთან ერთად, რომელშიც ტერმინოლოგიაზე კონსენსუსის მიღწევის პროცესია აღწერილი (ბიშოპი და სხვები, 2016; 2017).
- **სიხშირე:** ეგდ 14 ბავშვიდან დაახლოებით 1 ბავშვს აქვს. გაერთიანებულ სამეფოში ჩატარებულ უახლესი ეპიდემიოლოგიური კვლევის, SCALES-ის (ნორბერი და სხვები, 2016) თანახმად, ბავშვების 7.5% აქვს ეგდ, რომელიც ბიოსამედიცინო მდგომარეობას არ უკავშირდება.
- **გამომწვევი მიზეზები:** ეგდ, როგორც წესი, ოჯახის არაერთ წევრს აქვს. ტყუპებზე ჩატარებული კვლევები ძლიერ გენეტიკურ ზეგავლენაზე მიუთითებენ, თუმცა, ეს ბევრი გენის კომბინირებულ გავლენას ასახავს და არა მხოლოდ ერთ კონკრეტულ მუტაციას (ბიშოპი, 2006).
- **ნეირობიოლოგია:** უმრავლეს შემთხვევაში არ არსებობს მტკიცებულება რაიმე სახის ტვინის დაზიანების შესახებ. შესაძლებელია ტვინის სხვადასხვა უბნების ზომებისა და რუხი ნივთიერების პროპორციებს შორის მცირე განსხვავებებთან გვეკონდეს საქმე, თუმცა, მსგავსი განსხვავებები ინდივიდუალურია და სხვადასხვანაირად ვლინდება ბავშვებში. ჯერჯერობით ეგდ-ის "ბიომარკერი" უცნობია.

ეგდ: თანმხლები სირთულეები

- **სხვა მდგომარეობებთან კავშირი:** ეგდ ხშირად ყურადღების დეფიციტსა და ჰიპერაქტიულ აშლილობასთან და დისლექსიასთან ერთად გვხვდება. აუტიზმის მსუბუქ ფორმასთან ეგდ-ს გადაკვეთაც მსჯელობის თემაა (ბიშოპი, 2008). ბევრი ბავშვი აუტიზმისთვის დამახასიათებელ სოციალურ პრობლემებს არ ავლენს, თუმცა, ზოგიერთ მათგანთან აუტიზმის მსუბუქი ფორმის სხვა მახასიათებლები შეინიშნება. მიუხედავად ამისა, აუტიზმის მქონე და ეგდ-ს მქონე ბავშვებისთვის დახმარების ხელმისაწვდომობაში მკვეთრი განსხვავებებია. სხვაობა ზრდასრულობის ასაკზეც ვრცელდება. კერძოდ, დისლექსიაც და აუტიზმიც აღიარებული შეზღუდული შესაძლებლობებია, მაშინ, როცა ეგდ-ს შესახებ ცნობიერების დონე ძალიან დაბალია.

- **წიგნიერება და განათლება:** ეგდ-სა და დისლექსიას შორის მჭიდრო კავშირები

არსებობს (ბიშოპი და სნოულინგი, 2004). ეგდ-ს მქონე ბევრი ბავშვი დისლექსიის კრიტერიუმებს აკმაყოფილებს (მქართურ და სხვები, 2000). ხშირად, ხმამაღლა გამართულად კითხვის მიუხედავად ბავშვს წაკითხულის გაგება უჭირს (სთუთჰარდ და სხვები, 2010). ამ პრობლემების იდენტიფიცირება ხშირ შემთხვევაში არ ხდება, და გაგების პრობლემას მასწავლებლები სიცელქით ან უყურადღებობით ხსნიან. მასწავლებლებს ტრენინგების დროს ეგდ-ს შესახებ ინფორმაცია არ მიეწოდება.

- სოციალური სირთულეები თანატოლებთან:** ფიქრების, აზრების, გრძნობების და ა.შ. თავისუფლად გამოხატვას და სხვისი ნათქვამის სწრაფად გააზრებას დიდი გავლენის მოხდენა შეუძლია სოციალურ ურთიერთობებზე. ენობრივ უნარებზე ჩატარებულმა მანჩესტერის კვლევამ აჩვენა, რომ 16 წლის ასაკში, ეგდ-ს მქონე ინდივიდების 40% თანატოლებთან ინტერაქციაში ბარიერებს აწყდება (სტ. ქლე, ფიქლზ, დერკინ & ქონთი-რამსდენ, 2011). 16-წლიანთა 50%-ი იხსენებს, რომ ბავშვობაში ჩაგვრის (ბულინგის) მსხვერპლი იყო (ტიპური განვითარების მქონე თინეიჯერების შემთხვევაში 25%-ზე ნაკლები ადასტურებს იმავეს), ხოლო 13% ბავშვობიდან მოყოლებული ჩაგვრის მსხვერპლია (ქნოქს & ქონთი-რამსდენ 2003). ეგდ-ს შესახებ ზრდასრულებისა და თანატოლების უკეთესი ინფორმირებულობა შესაძლებელს გახდის მსგავსი უარყოფითი შედეგების თავიდან აცილებას.

ეგდ: დასაქმება და მენტალური ჯანმრთელობა

- დასაქმება:** ეგდ სერიოზულ მიდგომას საჭიროებს, რადგან იგი დაუსაქმებლობის მაღალ რისკს და ზრდასრულობაში დამოუკიდებლობის დეფიციტს უკავშირდება (ქონთი-რამსდენ & დრკინ, 2008). მიუხედავად იმისა, რომ შედარებით მსუბუქი პრობლემების მქონე პირები ხშირად საქმდებიან, მათი სამუშაო უმეტესწილად შედარებით ნაკლებ უნარებს საჭიროებს (ვაითჰაუზ და სხვები, 2009). სკოლებში ეგდ-ს ცნობადობის გაზრდა შესაძლებელს გახდის და ხელს შეუწყობს ბავშვებში სხვადასხვა უნარის განვითარებას. შედეგად კი მივიღებთ იმას, რომ აკადემიური მიღწევის მიუხედავად, ყველა მოსწავლეს მიეცემა განვითარების შესაძლებლობა და არავინ დარჩება ყურადღების გარეშე.

- მენტალური ჯანმრთელობა:** მსუბუქი ფორმის ეგდ-ს მქონე ბავშვებს მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებით ნაკლები სირთულეები აქვთ. მაშინ, როცა ენის ქრონიკული დარღვევის მქონე ბავშვების დაახლოებით ორი მესამედი (64%) ამა თუ იმ ტიპის ექსტრენალიზებულ/გარეთ მიმართულ ქცევას (მაგ. ქცევითი აშლილობა: აგრესია, „სხვა ბავშვებთან ჩხუბობს“) და ინტერნალიზებულ/შიგნით მიმართულ სირთულეებს ავლენს (მაგ. თავის განრიდება, მარტო თამაშს ამჯობინებს) (ქონთი-რამსდენ & ბოთინგი, 2004). საბედნიეროდ, მსგავსი სირთულეები მოზარდობის ასაკამდე ხშირ შემთხვევაში რეგულირდება (სთ. ქლერ და სხვები, 2011), თუმცა, ეგდ-ს მქონე მოზარდები, ტიპური განვითარების მქონე თანატოლებთან შედარებით ორნახევარჯერ მეტი ალბათობით დეპრესიის სიმპტომებს უჩივიან (ქონთი-რამსდენ & ბოთინგი, 2008). ბავშვებში მენტალურ ჯანმრთელობასთან დაკავშირებული პრობლემების დასაძლევად თერაპიების უმეტესობა „საუბრებზე დაფუძნებული თერაპიაა“, რაც ეგდ-ს მქონე ბავშვებისთვის ოპტიმალურ ფორმას არ წარმოადგენს.

ეგდ: ინტერვენცია

- ინტერვენცია:** ინტერვენციების ეფექტურობა დამოკიდებულია თავად ინტერვენციის ხარისხზე და ხანგრძლივობაზე. იმედის მომცემი ინტერვენციების რიცხვი იზრდება (ლოუ და სხვები, 2015). სკოლებში ჩატარებული სოლიდური კონტროლირებული გამოკვლევები აჩვენებს, რომ გადამზადებული და მხარდაჭერით გაძლიერებული დამხმარე მასწავლებლების მიერ განხორციელებულ ინტერვენციას შეუძლია მნიშვნელოვნად გააუმჯობესოს მოსწავლეების ენობრივი უნარები (ფრიქე და სხვები, 2013; 2017) და წიგნიერების დონე (ბოუირ-ქრეინ და სხვები, 2008). ბავშვების ნაწილს დასჭირდებათ დროში შედარებით მეტად გაწეილი მხარდაჭერა იმ პრობლემების დაძლევისთვის, რომლებიც ინტერვენციის შემდეგ კვლავ არსებობს (ბოილე და სხვები, 2010). კვლევების თანახმად, ინტერვენციების განხორციელება განსაკუთრებულად რთულია რეცეპტული (გაგების) სირთულეების მქონე ბავშვებში.

ეგდ-საჯარო აღიარება და RADLD- კამპანია

- **ისტორია და ტერმინოლოგია:** ბავშვებში ენობრივი სირთულეების აღწერას თითქმის 200 წლის ისტორია აქვს (გოლ, 1822). თავდაპირველად გამოიყენებოდა ტერმინი „განვითარების აფაზია“, თუმცა, კვლევებსა და პრაქტიკაში მოგვიანებით სხვადასხვა ტერმინი დამკვიდრდა (ენის განვითარების სპეციფიური დარღვევა, ენის განვითარების პირველადი დარღვევა) (დოქრელ, 2006). ტერმინი „ენის განვითარების დარღვევა (ეგდ)“ მრავალი წლის განმავლობაში არსებობდა, თუმცა 2017 წელს გამოქვეყნებული რეკომენდაციები კონრეტულად აღწერს, როგორ გამოვიყენოთ მოცემული ტერმინი და ხსნის მის უპირატესობას სხვა ტერმინოლოგიასთან შედარებით.

- **ეგდ-ს საზოგადოებრივი ცნობადობის გაუმჯობესების აუცილებლობა.**

საზოგადოებრივი ცნობიერების დონე ეგდ-ს შესახებ დაბალია, რაც ეგდ-ს სიხშირესა და სიმძიმესთან დაკავშირებულ კვლევების სიმწირეშიც აისახება (ბიშოპი, 2010). RADLD (ძველი სახელწოდებაა RALLI) კამპანიის მიზანია ეგდ-ს შესახებ ცნობიერების ამაღლება საბაზისო ფაქტების გავრცელებით იუთუბის არხის, ინტერნეტ-გვერდისა და დამხმარე მასალების საშუალებით.

References

- Bishop, D. V. M. (2006). What causes specific language impairment in children? *Current Directions in Psychological Science*, 15, 217-221.
- Bishop, D. V. M. (2008). Specific language impairment, dyslexia, and autism: Using genetics to unravel their relationship. In C. F. Norbury, J. B. Tomblin & D. V. M. Bishop (Eds.), *Understanding developmental language disorders: from theory to practice* (pp. 67-78). Hove: Psychology Press.
- Bishop, D. V. M. (2010). Which neurodevelopmental disorders get researched and why? *PLOS One*, 5(11), e15112.
- Bishop, D. V. M., Clark, B., Conti-Ramsden, G., Norbury, C. F., & Snowling, M. J. (2012). RALLI: An internet campaign for raising awareness of language learning impairments. *Child Language Teaching & Therapy*, 28(3), 259-262. doi:10.1177/0265659012459467. pdf here: <http://journals.sagepub.com/doi/pdf/10.1177/0265659012459467>
- Bishop, D. V. M., & Snowling, M. J., (2004) Developmental Dyslexia and Specific Language Impairment: The same or different? *Psychological Bulletin*. 130 (6), 858-886.
- Bishop, D. V. M., Snowling, M. J., Thompson, P. A., Greenhalgh, T., & The CATALISE Consortium. (2016). [CATALISE: a multinational and multidisciplinary Delphi consensus study](#). Identifying language impairments in children. *PLOS One*, 11(7), e0158753. doi:10.1371/journal.pone.0158753
- Bishop, D. V. M., Snowling, M. J., Thompson, P. A., Greenhalgh, T., & The CATALISE Consortium. (2017). [Phase 2 of CATALISE: a multinational and multidisciplinary Delphi consensus study of problems with language development: Terminology](#). *Journal of Child Psychology & Psychiatry*. doi:10.1371/journal.pone.0158753
- Boyle, J., McCartney, E., O'Hare, A., & Law, J. (2010). Intervention for mixed receptive-expressive language impairment: a review. *Developmental Medicine and Child Neurology*, 52(11), 994-999. doi:10.1111/j.1469-8749.2010.03750.x
- Bowyer-Crane, C., Snowling, M.J., Duff, F.J., Fieldsend, E., Carroll, J.M., Miles, J., Götz, K., & Hulme, C. (2008) Improving Early Language and Literacy Skills: Differential Effects of an Oral Language versus a Phonology with Reading Intervention. *Journal of Child Psychology & Psychiatry*, 49, 422-432
- Conti-Ramsden, G., & Botting, N. (2004). Social difficulties and victimization in children with SLI at 11 years of age. *Journal of Speech, Language, and Hearing Research*, 47, 145-161.
- Conti-Ramsden, G., & Durkin, K. (2008). Language and independence in adolescents with and without a history of Specific Language Impairment (SLI). *Journal of Speech, Language and Hearing Research*, 51, 70-83.

- Dockrell JE, Lindsay G, Letchford C, and Mackie C (2006) Educational provision for children with specific speech and language difficulties: Perspectives of speech and language therapy managers. *International Journal of Language and Communication Disorders*, 41, 423–40.
- Fricke, S., Bowyer-Crane, C., Haley, A.J., Hulme, C. & Snowling, M.J., (2013) Efficacy of language intervention in the early years. *Journal of Child Psychology and Psychiatry*. 54(3), 280-290.
- Gall, F. J. (1822), *Sur les fonctions du cerveau et sur celles de chacune de ses parties: avec des observations sur la possibilité de reconnaître les instincts, les penchans, les talens, ou les dispositions morales et intellectuelles des homes et des animaux, par la configuration de leur cerveau et de leur tête*. Paris: J.B. Baillire.
- Knox, E., & Conti-Ramsden, G. (2003). Bullying risks of 11-year-old children with specific language impairment (SLI): does school placement matter? *International Journal of Language & Communication Disorders*, 38(1), 1-12.
- Law, Roulstone, & Lindsay, 2015 Integrating external evidence of intervention effectiveness with both practice and the parent perspective: development of 'What Works' for speech, language and communication needs. *Developmental Medicine & Child Neurology* 2015, 57(3), 223-228.
- Leonard, C., Eckert, M., Given, B., Virginia, B., & Eden, G. (2006). Individual differences in anatomy predict reading and oral language impairments in children. *Brain*, 129(12), 3329-3342.
- McArthur, G. M., Hogben, J. H., Edwards, V. T., Heath, S. M., & Mengler, E. D. (2000). On the 'specifics' of specific reading disability and specific language impairment. *Journal of Child Psychology and Psychiatry*, 41, 869-874.
- Norbury, C. F., Gooch, D., Wray, C., Baird, G., Charman, T., Simonoff, E., ... Pickles, A. (2016). The impact of nonverbal ability on prevalence and clinical presentation of language disorder: evidence from a population study. *Journal of Child Psychology and Psychiatry*. <https://doi.org/10.1111/jcpp.12573>
- St Clair, M. C., Pickles, A., Durkin, K., & Conti-Ramsden, G. (2011). A longitudinal study of behavioral, emotional and social difficulties in individuals with a history of specific language impairment (SLI). [Article]. *Journal of Communication Disorders*, 44(2), 186-199.
- Stothard, SE., Hulme, C, Clarke, P., Barmby, P, Snowling, M. J. (2010) YARC York Assessment of Reading for Comprehension (Secondary). GL Assessment.
- Whitehouse, A. J. O., Line, E. A., Watt, H. J., & Bishop, D. V. M. (2009). Qualitative aspects of developmental language impairment relates to language and literacy outcome in adulthood. *International Journal of Language and Communication Disorders*, 44, 489-510.